მანანა დარჩაშვილი •

გარემოსდაცვის საკითხის 50-წლიანი გამოცდილება (ქართული სინამდვილე) ••

აბსტრაქტი

გარემოს დაცვის საკითხებზე დებატებმა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი იმპულსი მოიპოვა საერთაშორისო პოლიტიკისა და ურთიერთობების, გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო სამართლის მეცნიერთათვის; მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა საერთაშორისო მოლაპარაკებების და გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავების პრაქტიკოსებისთვის.

ბოლო წლებში, ახალი კოვიდ-19-ის გამოწვევების მიუხედავად, მსოფლიო აქტიურად არის ჩართული მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზნის - გარემოს დაცვის და კლიმატის საკითხების გამოწვევების დაძლევისათვის. მიმდინარე 2022 წელი კი, როგორც გარემოსდაცვის დღის 50-ე წლისთავი, არაერთი ინიციატივით მოუწოდებს და აერთიანებს მსოფლიო ხალხებს გარემოს დაცვის მხარდასაჭერად, ჩვენი პლანეტის დასაცავად.

საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან გარემოს დაცვის სახვადასხვა მიმართულებით, ბიომრავალფეროვნების, ნარჩენებისა და წყლის რესურსების მართვის გასაუმჯობესებლად, რათა ხელი შეეწყოს ხალხთა ცხოვრების ხარისხის და ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: გარემოს დაცვა, ჯანმრთელობა, 50 წელი, საქართველო, მსოფლიო, საერთაშორისო, თანამშრომლობა.

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

•• მოხსენება 2022 წლის 30 ივნისს პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე „მეხსიერების პოლიტიკა საქართველოში: წარსული და თანამედროვეობა“

ბოლოდროინდელმა კოვიდ-19-ით გამოწვეულმა ვითარებამ მსოფლიო ცხოვრების ყოველდღიური რიტმი შეცვალა, გავლენა იქონია ყველა სფეროზე, სპეციალისტები სხვადასხვა მიმართულებით იძლევიან რეკომენდაციებს სხვადასხვა ქვეყნისა თუ მსოფლიოსათვის. მათ შორის უმთავრესის, ადამიანის ჯანმრთელობის საკითხთან მიმართებაში, რადგან თანამედროვე პირობებში მტკიცებას აღარ საჭიროებს ის ფაქტი, რომ გარემოს ეკოლოგიური ფაქტორები გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, იმ დროს როდესაც მსოფლიო მოსახლეობა პანდემიის პირობებმა ძალიან დააზარალა საკითხის შესწავლა აქტუალურია საერთაშორისო მაშტაბით (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, 2001). ამასთან, გამოიკვეთა რომ არის მიდგომები, რომელთა შესახებ საკითხის დასმის, განხილვის და მოგვარების საჭიროების შესახებ მსოფლიო კონსესუს მარტივად აღწევს, სწორედ ეს აქტუალური საკითხი შევარჩიეთ შესასწავლად და ისტორიული და დოკუმენტის შესწავლის მეთოდის გამოყენებით წარმოვადგინეთ - „გარემოსდაცვის პრობლემა: 50 წლიანი გამოცდილება (ქართული სინამდვილე)“, რომელიც გარდა იმისა, რომ ადამიანის ჯანმრთელობას უკავშირდება, ამავდროულად მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანთაგანია.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ 2022 წელი მნიშვნელოვანი თარიღია გლობალური გარემოსდაცვითი საზოგადოებისა და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამებისთავის. 50 წელი შესრულდა 1972 წლის (5-16 ივნისი) სტოკჰოლმის გაეროს გარემოსდაცვითი კონფერენციიდან, როდესაც გარემოსდაცვით პირველ შეხვედრაზე, მონაწილეებმა შეიმუშავეს მთელი რიგი პრიმციპები გარემოს გაჯანსაღებისათვის, მათ შორის სტოკჰოლმის 26 პრინციპზე მდგარი დეკლარაცია, სამოქმედო გეგმა და რეზოლუციები (UNITED NATIONS, 1973). ეს იყო დიალოგის დასაწყისი მსოფლიოსთვის, ეკონომიკური

ზრდის ფონზე, ჰაერის, წყლის, ოკეაანების დაბინძურებისაგან თავისარიდების კავშირზე. სამოქმედო გეგმა კი სამ ძირითად საკითხს მოიცავდა: ა) გლობალური გარემოსდაცვითი შეფასების პროგრამა (watch plan); ბ) გარემოსდაცვითი მართვის საქმიანობა; გ) ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განხორციელებული შეფასების და მართვის საქმიანობის მხარდაჭერის საერთაშორისო ღონისძიებები. ამას გარდა ეს კატეგორიები დაყოფილი იყო 109 რეკომენდაციად. საყურადღებოა, რომ სწორედ ამ დროს შეიქმნა (სტოკჰოლმის კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი შედეგი იყო) გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNITED NATIONS, 1972), გარემოსდაცვის დღის დაწესებას წინ უძღოდა დედამიწის დღის აღნიშვნა - 1970 წლის 22 აპრილიდან (აშშ-ში სენატორ გეილორდ ნელსონის ინიციატივა), რომელიც მაშტაბური გარემოსდაცვითი ღონისძიებაა, ყველწლიურად სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნება და კიდევ ერთხელ ადასტურებს პოლიტიკოსთა და მოქალაქეთა აქტიური თანამშრომლობა/ჩართულობის მნიშვნელობას პრობლემის მოგვარებაში.

საყურადღებოა, რომ უკვე 50 წელია საფუძველი ჩაეყარა გარემოს დაცვის სამინისტროებისა და სააგენტოების ჩამოყალიბებას მთელს მსოფლიოში, დაიწყო გარემოს საკითხებთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის, გლობალური შეთანხმებით, კოლექტიურად დაცვა. მთელი 50 წლის განმავლობაში, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), რომელიც კოორდინაციას უწევს მსოფლიოში არსებულ უდიდეს გარემოსდაცვით გამოწვევებს, ამ გლობალური თანამშრომლობით კი ხელი შეეწყო არაერთი პრობლემის დაძლევას. ამჟამად კი საიუბილეო წლის აღსანიშნავად, UNEP@50 ბანერის ქვეშ იმართება აქტივობებისა და საინფორმაციო ღონისძიებების ერთწლიანი სერია, რაც მოიცავს გარემოსდაცვითი პროგრამების გაძლიერებას და 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი განზომილების განსახორციელებას (UN, environment programme, 2022).

თავდაპირველად, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა 1973 წლის 5 ივნისიდან გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) ხელმძღვანელობით დაიწყო და ყოველწლიურად იმართება. ფაქტობრივად, ეს დღე არის უდიდესი გლობალური პლატფორმა საზოგადოებისთვის და მას მილიონობით ადამიანი აღნიშნავს მთელ მსოფლაიოში. გაეროს ინიციატივით ამ დღის მთავარ თემად ყველა წელს გარემოსდაცვითი სხვადასხვა მიმართულება ირჩევა.

სტოკჰოლმის კონფერენციის 20 წლის თავზედ 1992 წელს (3-14 ივნისი), კიდევ ერთი საერთაშორისო დატვირთვის მქონე დოკუმენტი - რიოს დეკლარაცია იქნა მიღებული (General Assembly, 1992), როგორც მას ეწოდა „განაწესი 21 საუკუნისათვის“, სადაც ოცდაშვიდ პუნქტში გაწერილია ადამიანის ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრების საჭიროების შესახებ (აღნიშული საკითხის მოსაწესრიგებლად, მას შემდეგ, არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნა მიღებული).

საქართველოში გარემოს დაცვის შესახებ კანონის მიღებიდან (საქართველოს პარლამენტი, 1996) ქართული სინამდვილე ამ გლობალურ ინიციატივას ყოველთვის აქტიურად უერთდება, ბოლო დროს კი, ყველა წელს, ამ დღისადმი მიძღვნილი, სხვადასხვა საინტერესო მრავლისმომცველი ლოზუნგით, ღონისძიებები იმართება, რომელთა მიზანია ადამიანთა პასუხისმგებლობის გაცნობიერება ბუნების მიმართ. საყურადღებია ასევე საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობა გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებების მიმართულებით (Delegation of the European Union to Georgia, 2019).

საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან მიუხედავად იმისა რომ ქვეყანაში აღნიშნული პრობლემის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტი ხოციელდება, რის შედაგადაც პროგრესი მიღწეულია, საქართველო 2021 წლის შედეგებით,

მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება/რეიტინგის მიხედვით 165 ქვეყნიდან 56-ე ადგილზეა და მას უსწრებს უკრაინა, რუსეთი, მოლდავა და აზერბაიჯანი. იმ დროს როდესაც ქვეყანაში სამი ძირითადი (ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური) განზომილებიდან ეკოლოგიური გამოწვევები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2021).

დასკვნა/რეკომენდაციები

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც ამ 50 წლიან განვლილი დროის მანძილზედ განწყობება/დამოკიდებულებს თუ შევაჯამებთ ფაქტებით ასეთი რეალობაა - გარემოს დაცვის დღის აღნიშვნის მიზნი, დაარსებიდან დღეის მიდგომითაც - ბუნების მიმართ ადამიანთა პასუხისმგებლობის გაცნობიერებაა, რაც მოიცავს გარემოს მდგრადი განვითარებისათვის ხელშეწყობას, გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში საზოგადოების აქტიურ ჩართულობას.

დღეს ყველა თანხმდება, რომ ახალი დაავადებების წარმოშობა, გავრცელება გარემოს დაბინძურებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული (ქოჩლაძე, 2020) ამიტომ, მდგრადი განვითარების მიზნებდან გამომდინარე საზოგადოების და ეკონომიკის განვითარებამ უნდა გაზარდოს გარემოსდაცვითი უსაფრთხოება.

მიუხედავად იმისა, რომ სწორადაა გაცნობიერებული გარემოსდაცვითი საკითხების მოწესრიგება, მწვანე შეთანხმებების შესრულებაზე. ფინანსური სარგებლიანობიდან გამომდინარე, მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად, ზოგიერთი პროექტები, რომელთა განხორციელებაც პრობლემების შემცველია მაინც გრძელდება. სასურველია მეტი პასუხისმგებლობით, ურთიერთდამოკიდებულების, შედეგების განსაზღვრით მოხდეს მდგრადი განვითარების სხვადასხვა მიზნის და კერძოდ - ეკონომიკის, ჯანდაცვის და გარემოსდაცვითი საკითხების განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, 2001წ., ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ, თბილისი.

2. ქოჩლაძე, მ., 2020. კოვიდ-19 გარემოს დაცვა და მომავლის პერსპექტივები, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის-სამხრეთ კავკასიის რეგიონი, https://ge.boell.org/ka/2020/04/23/kovid-19-garemos-datsva-da-momavlis-perspektivebi, ნანახია 21.05. 2022.

3. UNITED NATIONS, 1973, REPORT OF THE UNITED NATIONS CONFERENSEON THE HUMAN ENVIRONMENT, Stocholm, 5-16 June, 1972, New York, 1973, https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/NL7/300/05/IMG/NL730005.pdf?OpenElement, ნანახია 05. 05. 2022.

4. UNITED NATIONS, The first world conference on the environment, https://www.un.org/en/conferences/environment/stockholm1972, Stocholm, 1972, ნანახია 15. 05. 2022.

5. UN, environment programme, 2022, Abaut UNEP@50, https://www.unep.org/50-years/about-unep50, ნანახია 10. 05. 2022.

6. საქართველოს პარლამენტი, 1996, საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=30, თბილისი, ნანახია 12. 05. 2022

7. General Assembly, 1992, REPORT OF THE UNITED NATIONS CONFERENCE ON ENVIRONMENT AND DEVELOPMENT, Rio de Janeiro, 3-14 June 1992.

8. Delegation of the European Union to Georgia, 2019, ევროკავშირი საქართველოში 3 ახალი გარემოსდაცვითი პროექტის განხორციელებას იწყებს, https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/, ნანახია 10.04. 2022

9. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2021, მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები, თბილისი

Manana Darchashvili

50 Years of Experience in Environmental Issues (Georgian Reality)

Abstract

The debate on environmental issues has gained significant momentum in recent years for scholars in international politics and relations, environmental policy, and international law; It has become the main challenge for international negotiators and environmental policy makers.

In recent years, despite the challenges of the new covid-19, the world has been actively involved in one of the most important goals of sustainable development - tackling the challenges of environmental and climate issues. The current year 2022, as the 50th anniversary of the Environment Day, calls for a number of initiatives and unites the peoples of the world to support the protection of the environment, to protect our planet.

Georgia works closely with international organizations in various areas of the environment to improve the management of biodiversity, waste and water resources to improve the quality of life and health of its people.

Keywords: Environment, Health, 50 years, Georgia, World, International, Cooperation.